3 და 4 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 26-ე ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

„დინამო“ (თბილისი) – „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0 (1:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს სტადიონი. 4 ოქტომბერი.

„დინამო: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია (კაკილაშვილი, 77), არზიანი, რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, კორღალიძე (აჯოევი, 75), გურული ქეცბაია.

„გურია“ იმნაძე, მიქაბერიძე, პრიხოდკო, ე. თევზაძე, ბონდარუკი, ხლუსი (ცომაია, 46), კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, ჩხაიძე, ცაავა, აკოფიანი (გოგიჩაიშვილი, 80).

მსაჯი ე. ალექსანდროვი (იაროსლავლი).

გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილებზე მყოფი გუნდების ეს შეხვედრა ნელ ტემპში დაიწყო. ბურთი უმთავრესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა. მეტოქეებიც აგრესიულობას არ იჩენდნენ. შემდეგ კი ლანჩხუთელებმა უცებ ჩართეს სიჩქარე და ორჯერ ზედიზედ შექმნეს სახიფათო მომენტი „დინამოს“ კართან. შემდგომში ტემპი კვლავ შენელდა, ტაიმის დასასრულს კი დინამოელთა ერთ-ერთი იერიშისას „გურიის“ მცველთა შეცდომა კარგად გამოიყენა ქეცბაიამ და გახსნა ანგარიში 1:0.

49-ე წუთზე სტუმართა კარი კიდევ ერთხელ იქნა აღებული, როცა გურულის დარტყმის შემდეგ ბურთი ძელმა მოიგერია და მას დროზე მიუსწრო იმავე ქეცბაიამ - 2:0.

ამის შემდეგ თამაში უმთავრესად „დინამოს“ უპირატესობით მიმდინარეობდა. ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ ჩივაძეს, ჭედიას, საპასუხო კონტრიერიშების დროს კი რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს „გურიის“ თავდამსხმელებმა. საბოლოოდ გამარჯვება დინამოელებს დარჩათ.

ლელო 6.10.1987

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისში შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების შეხვედრა. თბილისის დინამოელებმა მიიღეს ლანჩხუთის „გურია“.

მატჩი მოიგეს დინამოელებმა - 3:1. პირველი ბურთი 11 მეტრიანით გაიტანა ლანჩხუთელმა გოგიჩაიშვილმა, გოლი გაქვითა ფანცულიამ, შემდეგ მიქაშავიძემ პენალტით და კაკილაშვილმა წინ გაიყვანეს „დინამო“.

მეტოქეთა შემადგენლობები:

„დინამო“ - ჭანტურია (ბაბუაძე), ფირცხალავა, თეთრაძე, ჩხაიძე (წიკლაური) თედეევი, კაკილაშვილი, სვანაძე, გუბაზი, ფანცულაია, აჯოევი (ჯიშკარიანი), მიქაშავიძე;

„გურია“ - გ. იმნაძე, გუჯაბიძე, მ. თევზაძე (სანაძე), ლორია, ი. იმნაძე, ნარიაშვილი, წილოსანი, ქურიძე, ძნელაძე, გოგიჩაიშვილი, კუკულაძე.

ლელო 04.10.1987